№ 18. 11. 2013

№ 395

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia

KA011306923991113

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ./ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/7177

12 / ნოემბერი / 2013 წ.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს
ქ. თბილისი, რაზმაძის ქ.15

ბატონო სერგი,

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხილულ იქნა თქვენი 2013 წლის 16 ოქტომბრის წერილი, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ 2009 წლის 01 სექტემბრამდე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გადახდილ თანხების, ასევე გირაოს თანხების და ჯარიმის უზრუნველსაყოფად გადახდილ თანხების, განთავსება მიმდინარეობდა სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე დეპოზიტის სახაზინო კოდზე, კერძოდ, საქართველოს პროკურატურის ქვეკოდზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურას აღნიშნული თანხების ცალ-ცალკე აღრიცხვის ვალდებულება არ გააჩნდა.

ამასთან, 2009 წლის 01 სექტემბერიდან ზემოთ მითითებული თანხების შეტანა ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების ანგარიშებზე. ამდენად მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას ამ ნაწილში დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

რაც შეეხება ინფორმაციას 2004-2013 წლებში განხორციელებული საპრცესო გარიგებების რაოდენობის თაობაზე, გაცნობებთ დამატებით.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი